

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის  
სასწავლო უნივერსიტეტი**



სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

**ნინო ძნელაძე**

**ხარისხის მართვის პრობლემები და საზოგადოებასთან  
ურთიერთობის მენეჯმენტი**

საჯარო მმართველობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ნესტან მამუჭაძე,

მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი

## ანოტაცია

თანამედროვე ეტაპზე ხარისხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ორგანიზაცია/კომპანიის არსებობაში. ხარისხის მართვის ფუნქციები და ფორმები წლებთან ერთად იცვლებოდა და დღესაც იცვლება გაუმჯობესებისკენ. ხარისხის მართვა დაკავშირებულია გარკვეულ ცნებებთან და მეთოდოლოგიასთან, რომელიც საერთაშორისო სტანდარტს ISO 9001 მოიცავს. ხარისხი არის მდგრადი განსაზღვრული პროცესი, მოთხოვნების შესრულებით. მისი მტავარი დანიშნულებაა ორგანიზაციის ეფექტიანობა, მომსახურების, სისტემების, პროცედურების მუდმივი გაუმჯობესება. ხარისხის მართვა ნიშნავს მუდმივ სრულყოფას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიზნებს.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ოთხ ძირითად თავს და ქვეთავებს. ნაშრომის ძირითადი ამოცანაა ხარისხის მართვა, სტანდარტების კლასიფიკაცია, მიზნების და რესურსების გამიჯვნა და მათი ბალანსის ძიება. ნაშრომში განხილულია ხარისხის მართვის პროცესი, თანამედროვე მიდგომა, სტრატეგიული მენეჯენტის როლი, მართვის მეთოდოლოგია, საზოგადოება და საზოგადოებასთან ურთიერთობა, რისკის სახეები და საქართველოს ორგანიზაცია/კომპანიაში არსებული პრობლემები.

ნაშრომის მიზანია ხარისხის მართვის ძირითადი პრინციპები, მართვის პრობლემების განხილვა, მომხმარებლის და მისი მოთხოვნების სრულყოფა, სტრუქტურის გაუმჯობესების კლასიფიკაცია და საერთაშორისო ISO სტანდარტები და სერთიფიცირება.

თემის აქტუალურობა დაკავშირებულია გარკვეულ მეთოდებთან და ცნებებთან. ნაშრომში წარმოდგენილია მენეჯმენტის უფლებამოსილება, ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, დანართების და ცხრილების სახით მოცემულია ხარისხის სისტემის გაუმჯობესება, ხარისხის მოძრაობის ეტაპები, უწყვეტი ციკლი, ექვსი სიგმის მეთოდოლოგია.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევა ჩატარდა ელექტრონული ფორმით. ნაშრომზე მუშაობამ ცხადყო საქართველოს კომპანია/ორგანიზაციებში არსებული პრობლემები, ხარისხის მნიშვნელობის განსაზღვრა, ხარისხის სამსახურის მუშაობის შეფასება, არსებული რისკების კვლევა.

## **Public Relation and Management**

### **(Quality management problems and public relations management)**

#### **Annotation**

At the present stage, quality plays an important role in the existence of an organization / company. The functions and forms of quality management have changed over the years and are still changing for the better today. Quality management is related to certain concepts and methodologies that include the international standard ISO 9001. Quality is a sustainable defined process, meeting requirements. Its main purpose is the efficiency of the organization, continuous improvement of services, systems, procedures. Quality management means constant improvement that is in line with the goals of the organization.

The master thesis includes four main chapters and subsections. The main task of the paper is quality management, classification of standards, separation of goals and resources and search for their balance. The paper discusses the quality management process, modern approach, the role of strategic manager, management methodology, public and public relations, types of risks and problems in the Georgian organization / company.

The aim of the paper is the basic principles of quality management, discussion of management problems, improvement of the user and his requirements, classification of structural improvements and international ISO standards and certification.

The relevance of the topic is related to certain methods and concepts. The paper presents the powers of management, the introduction of a quality management system, in the form of appendices and tables the improvement of the quality system, stages of quality movement, continuous cycle, six-sigma methodology.

The research of the master thesis was conducted in electronic form. The work revealed the problems existing in Georgian companies / organizations, the definition of the importance of quality, the evaluation of the work of the quality service, the study of existing risks.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	5
თავი I	
1.1 ხარისხის მნიშვნელობა ორგანიზაციაში .....	10
1.2 ხარისხის შექმნის პროცესი.....	12
1.3 მომხმარებელი, მისი უფლებები და მოვალეობები.....	14
1.4 ხარისხის მართვის პრინციპები.....	17
თავი II	
2.1 ხარისხის მართვა.....	21
2.2 ნამდვილი ლიდერის სახე.....	23
2.3 რისკ-მენეჯმენტი.....	25
თავი III	
3.1. სტანდარტები და სერთიფიცირება.....	32
3.2 ხარისხის მენეჯმენტი: კონცეფციები და მიდგომები პროგრამული უზრუნველყოფის პროექტები.....	37
3.3 ხარისხის მართვა პროექტების მენეჯმენტში .....	39
3.4 ხარისხის სრული მენეჯმენტის პარადიგმა (TQM) .....	41
3.5 ხარისხის მენეჯმენტის საკითხები/პრობლემები.....	44
თავი IV	
4.1 რა არის საზოგადოებასთან ურთიერთობა?.....	64
4.2 საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზანი, ფუნქციები, და სახეები .....	65
4.3 პიარი გლობალიზაციის ეპოქაში და მზარდი შესაძლებლობები .....	67
თავი V სოციალური კვლევა	
5.1 სოციალური კვლევის კითხვარის ნუსხა.....	91
დასკვნა.....	95
გამოყენებული ლიტერატურა.....	98

## შესავალი

თანამედროვე ეტაპზე ხარისხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი ორგანიზაციის არსებობაში. მისი მართვის ფორმები და ხერხები წლების განმავლობაში განიცდიდა მუდმივ ცვლებადობას და იხვეწებოდა. დღესდღეობით, მომსახურების სფეროს განვითარება და მისი ხარისხის უზრუნველყოფა, უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში.

ბოლო წლებში, საქართველოში, სახელმწიფოს მიერ გატარებულმა რეფორმებმა განსაკუთრებული ინტენსიური ხასიათი შეიძინა. მთავარი აქცენტი გაკეთდა მოქალაქეთათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. თუმცა, რეფორმების პროცესი მიმდინარეობს, მომსახურების სფეროში არსებობს მრავალი პრობლემა, რომელთა ინდეტიფიცირება, გაანალიზება და პრობლემის გადაჭრაა აუცილებელი რეფორმების სწორად და წარმატებით წარმართვისთვის. ხარისხი განსაზღვრავს ორგანიზაციისა და კომპანიის რეპუტაციას, პასუხისმგებლობას გლობალურ შედეგებს.

არსებობს ხარისხის მრავალი განმარტება, რაც აიხსნება ხარისხის კატეგორიათა მრავალგვარობით. ვიწრო გაგებით, ხარისხი აღნიშნავს პროდუქციის ხარისხს. ხოლო თუ ფართოდ განვმარტავთ, ხარისხი აღნიშნავს პირობების ხარისხს, პროცესების ხარისხს, მომსახურების ხარისხს, ქვედანაყოფის ხარისხს, მმართველობის, სისტემის, მენეჯმენტის ხარისხს და ა.შ

ხარისხის მართვის სისტემების სტანდარტები ხშირად ეშლებათ პროდუქტისა და მომსახურების სტანდარტებში. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტები გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს პროდუქტსა და მომსახურებას (მაგ.: ISO 9001), ეს ეხება კარგი მენეჯმენტის პრაქტიკას და არა - კონკრეტულ პროდუქტს ან მომსახურებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობაში, როგორც წესი იგულისხმება მრავალი სტრატეგია, რომელიც საკომუნიკაციოდ გამოიყენება. ნებისმიერი ასეთი კომუნიკაციის ჩამოყალიბების პრინციპია კონკრეტული აზრის ჩამოყალიბება, შეცვლა, ან უბრალოდ მისთვის საინტერესო ან სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება

რომელიმე პრობლემის, შესაბამისი შეხედულებების ფორმირების მიზნით. საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის მიზანია: ცვლილებების გატარება და შეხედულებების კონსოლიდაცია, ინტერესების ჰარმონიზაცია, კეთილი ნება და ურთიერთგაგების ჩამოყალიბება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების მთავარი პრიორიტეტი ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის დახმარების აღმოჩენაა, რათა წინასწარ განისაზღვროს ტენდენციები, ეფექტურად იქნას გამოყენებული ცვლილებები, კომუნიკაცია, კვლევის თანამედროვე მეთოდები და საფუძვლიანი ინსტრუმენტები.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ორგანიზაციის ეფექტიანი მართვის ორი უმთავრესი ინსტრუმენტი და პრობლემები, რომლებიც მათი სრული დატვირთვით იმპლემენტაციის პროცესში შიძლება გაჩნდეს.

**თემის აქტუალობა:** აქტუალურობის ხარისხი დაკავშირებულია გარკვეულ ცნებებთან და მეთოდებთან, რომლებიც გამოიყენება ორგანიზაციების სტრატეგიული განვითარებისთვის. ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობის ყველა ასპექტზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან პრიორიტეტს. საზოგადოების განვითარების კვალობაზე, იზრდება პრობლემების და რისკების ჩამონათვალი, მათი ხასიათი და წარმოშობის სფერო.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით საქართველოში ეკონომიკის 75% მოდის მომსახურების სექტორზე. მომსახურების სექტორი აწარმოებს, ისეთ მაღალმოთხოვნად პროდუქტს, რომელიც აუცილებელია არსებობისთვის. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია, ხარისხზე ზრუნვისა და ხარისხის სისტემებისა და სტანდარტების დანერგვის პარალელურად ორგანიზაცია ზრუნავდეს თავისი პროდუქტის ან მომსახურების სწორად პოზიციონირებაზე, საზოგადოებისათვის ინფორმაციის სწორად მიწოდებასა და საკუთარ პროცესებში დაინტესებულ პირთა და მომხმარებელთა ჩართულობაზე.

**მიზნები:** ხარისხის მართვის სისტემა არის კოორდინირებული სამუშაო სტრუქტურა, რომელიც მოქმედებს კომპანიაში და მოიცავს მათ ეფექტურ ტექნიკურ და მენეჯმენტურ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანების და

ინფორმაციის ურთიერთქმედების საუკეთესო და პრაქტიკულ გზებს. ნაშრომის ძირითადი მიზანია ხარისხის მართვის ძირითადი პრინციპები, მართვის პრობლემების აღმოფხვრის გზები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მისი ფუნქციები, ტიპები, აქტივობები და მენეჯმენტის პრინციპების განსაზღვრა და შედეგი.

**ამოცანები:** ნაშრომის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვიკვლიოთ ხარისხის მართვის სისტემისა და სტანდარტების გამოყენების მაჩვენებელი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში (ბათუმის მაგალითზე), დავადგინოთ ხარისხის სისტემის კორელაციასაზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობასთან და დავინახოთ კავშირები დაწესებულების სწორად პოზიციონირებასა და მისი საქმიანობის ხარისხს შორის; ასევე, გამოვკვეთოთ რისკები, რომლებიც ახლავს საზოგადოებასთან ეფექტიან ურთიერთობასა და ხარისხის მანეჯმენტის კომპეტენციებს.

**კვლევის მეთოდები:** ჩვენ მიერ გამოყენებული იქნება სოციოლოგიური გამოკვლევის როგორც რაოდენობრივი ისე თვისობრივ მეთოდები, კითხვარები, ელექტრონული გამოკითხვა, ფოკუს-ჯგუფებთან კომუნიკაცია, ანალიზი, სინთეზი, შედეგთა განზოგადება და სხვა. ნაშრომში, ბენჩმარკის სახით გამოყენებული იქნება საერთაშორისო ხარისხის სტანდარტი ISO 9001.

**სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:** მოიცავს შესავალსა და ხუთ თავს, რომელშიც გაერთიანებულია ქვეთავები. პირველი თავის ოთხ პარაგრაფში საუბარი იქნება ხარისხის მართვის მნიშვნელობა ორგანიზაციაში, სადაც ქვეთავებად აღნიშნული იქნება ხარისხის მთავარი დანიშნულება და მახიათებლები, ხარისხის მართვის შექმნის პროცესი ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვანია, მისი მთავარი ღირებულება მიმართულია მომხმარებელთა მოთხოვნაზე, შემდეგ მის გათვალისწინებაზე და სრულყოფილი ფორმით მიწოდებაზე. მეორე თავის ორ პარაგრაფში განხილული იქნება ხარისხის მართვა და ხარისხის საყოველთაო მართვის პრინციპები, ქვეთავებად დაყოფილი იქნება სისტემის უპირატესობები. მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც განამტკიცებს ორგანიზაციისადმი ნდობას და განვითარებას ორგანიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც

უზრუნველყოფს წესების დაცვას, ეფექტიანობის გაზრდას, რაც გამოიხატება მომსახურების ხარისხიანი მიწოდებით. პროცების განსაზღვრა, გაუმჯობესება და კონტროლი.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (Quality Management System) ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლის საშუალებაა, რომელიც პირდაპირ, თუ ირიბად დაკავშირებული მიზნების მიღწევასთან. უფრო ფართოდ, იგი მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურასთან ერთად დაგეგმვის, მიმდინარე პროცესების, რესურსებისა და დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციას რომლებიც გამოიყენება კომპანიის მიზნების მისაღწევად (მაგალითად, მომხმარებელთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის, პროდუქტის, ან სერვისის გასაუმჯობესებლად).

მესამე თავის ქვეთავებად იქნება დაყოფილი ხარისხის მართვის პრობლემები. ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღრიცხვის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი მეთოდია საკონტროლო ცხრილები . მათი შედგენა ხდება კონკრეტული სიტუაციისა და შემდგენლის საჭიროებების მიხედვით. ამგვარ მატრიცებში ძირითადად მოტანილია დეფექტის ტიპი, მისი მოხდენის დრო, რისკების არსებობა, რაოდენობა და სხვა მონაცემები. საკონტროლო ნახატები, რომლებიც წარმოადგენს ნაკეთობის სურათს მასზე ხარვეზის ადგილის მითითებით, გამოიყენება იმის სადემონსტრაციოდ, თუ კონკრეტულად რომელ ადგილზეა დეფექტი, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მისი გამომწვევი მიზეზების დასადგენად და აღმოსაფხვრელად. ხარისხის მართვის საშუალებები - მოიცავდეს ყოვლისმომცველ ინფორმაციას კონკრეტული პროდუქტის პარამეტრებისა და მისი წარმოების მახასიათებლების შესახებ (რაც გამოიყენება განვითარების ეტაპზე)

ანალიზის ხელსაწყოები - საშუალებას გვაძლევს დაადგინოთ პრობლემის არსი და განსაზღვროთ წარმოების გაუმჯობესების სფეროები;

მეოთხე თავი - მოიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპებს ურთიერთობის შედარებასა და ზემოქმედებას გარკვეულ სფეროსთან. კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენების სტრუქტურა, მიზნობრივი ჯგუფი . საზოგადოებასა და ორგანიზაციის შორის ურთიერთმომგებიანი ურთიერთობების



ჩამოყალიბება. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი, როგორც მართვის ფუნქცია რომელსაც ახასიათებს განვითარებს უსწრაფესი ფუნქცია.

მეხუთე თავი მოიცავს სოციალური კვლევის კითხვარს დიაგრამებთან ერთად კვლევის შედეგების დასკვნას, ანალიზს. აგრეთვე მეხუთე თავში მითითებულია გამოყენებული ბიბლიოგრაფია და ვებ-გვერდები.

## თავი I

### ხარისხის მნიშვნელობა ორგანიზაციაში

#### 1.1 ხარისხის მთავარი დანიშნულება და მახასიათებლები

ცნება „ხარისხის“ დანერგვა მმართველობითი საქმიანობის ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთავქათ, სწორედ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვამ მოახდინა რევოლუციას ბიზნესსა და წარმოების ინდუსტრიაში. ტერმინის ეტიმოლოგია XIII საუკუნიდან იძებნება, რაც ძველი ფრანგულიდან „qualite“ და ლათინური „qualitas“ მოდის და ნიშნავს „of what sort“ – „რა სახის“, რაც, იმთავითვე, ხაზს უსვამს ობიექტის ბუნებას, მის შინაარსს. ასე, რომ ტერმინი „ხარისხი“ შეიძლება განვმარტოთ როგორც „თვისება“ ან „მახასიათებელი“. ინგლისურ ენაში შესვლის შემდეგ ტერმინს არ შეუწყვეტია განვითარება და დროთა განმავლობაში, მისი მნიშვნელობა გაფართოვდა. ხარისხის განსაზღვრა შესაძლებელია მრავალი გზით. ხარისხის შეიძლება აიხსნას, როგორც „პროდუქტის ან მომსახურების მახასიათებელი, რომელიც ახდენს შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მითითებული ან ნაგულისხმევი მოთხოვნილებები“. წარმოების თვალსაზრისით, ხარისხი არის მოთხოვნების შესრულება, მაგრამ მომხმარებლის თვალსაზრისით, ეს არის სტანდარტი, რომელსაც ისინი ადგენენ და ითხოვენ, რაც ნიშნავს პროდუქტის ან მომსახურების შესრულებას მოლოდინთან შედარებით. ხარისხის მენეჯმენტის ერთ–ერთ ყველაზე ცნობილი ავტორი, ფილ.ბ.კროსბი, თავის წიგნში „Quality is Free“ (1979), მან ხარისხი განიხილა როგორც „ მოთხოვნების თანახმად“ და ეს მოთხოვნები მოდის მწარმოებლისა და მომხმარებლებისგან. გამარტივების მიზნით, ხარისხი შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად:

$$Q = \frac{C}{R}$$

Q= ხარისხი C= შესაბამისობა R= მოთხოვნები

ამ რაოდენობრივი მნიშვნელობით შეგვიძლია გავიგოთ, როგორ მუშაობს მომსახურების ხარისხის უკეთესად ან უარყოფითად. იმისთვის, რომ სრულყოფილად განისაზღვროს ხარისხის კონცეფცია თუ როგორ შეიძლება გავლენის მოხდენა, ვფიქრობთ, კარგია ხარისხის მენეჯერული მიდგომა დავიწყეთ.

ვიდრე დავიწყებთ ხარისხის მართვის შესწავლას, საჭიროა განვსაზღვროთ ტერმინ „ხარისხის“ მნიშვნელობა. ტერმინ „ხარისხის“ სხვადასხვა განმარტებას მოვიძიებთ სხვადასხვა სახელმძღვანელოში, მაგრამ ძირითადად, ხარისხი მოიცავს შესაბამისობას უზრუნველყოფაზე, რომელიც ხორციელდება პრევენციული ღონისძიებების გატარებით. ხარისხს მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ძირითადად, იგი გულისხმობს ობიექტის თანდაყოლილი თვისებების ერთობლიობას, რაც საშუალებას გაძლევთ დააკმაყოფილოთ გამოხატული ან ნაგულისხმევი მოთხოვნები.

ხარისხი განისაზღვრება, როგორც ფუნდამენტურად ფარდობითი. ხარისხი არის მდგრადი პროცესი განსაზღვრული და ნაგულისხმევი მოთხოვნების შეფასებით წინასწარ განჭვრეტით და მათი შესრულებით. ხარისხის მთავარი დანიშნულებაა ორგანიზაციის ეფექტიანობა, მომსახურების, სისტემების, პროცედურების მუდმივი გაუმჯობესება. ხარისხის მართვა ნიშნავს მუდმივ სრულყოფილებას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიზნებს.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, ხარისხი არის ობიექტის მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხის უნარს დააკმაყოფილოს შეთავაზებული და დადგენილი მოთხოვნები.

ერთ–ერთი განმარტებით, ხარისხი წარმოადგენს „მოთხოვნებთან ნიშანდობლივი მახასიათებლების შესაბამისობის თვისებას“, სადაც მოთხოვნებში მოიაზრება დადგენილი მოთხოვნა, ხოლო მახასიათებლებში კი განსხვავებული თვისებები. ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული პროდუქციის ხარისხი განსაზღვრავს პირდაპირ ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხს. ხარისხის თავის თავში უპირველესად გულისხმობს იმ საქმიანობების კრებულს, რომელსაც ახორციელებს მომსახურების წარმოებისას. ხარისხის წარმოება დამოკიდებულია ყველა იმ კომპონენტზე, რომელიც ქმნის ერთ მთლიან საწარმოო ციკლს.

მოკლევადიან პერიოდში ზოგჯერ შესაძლებელია მოთხოვნების შესაბამისად საწარმოო სიმძლავრეების ცვლილება, მაგალითად, ზეგეგმური სამუშაოების ხარჯზე, მაგრამ ასეთი ქმედების მასშტაბები მცირეა მთლიან საწარმოო სიმძლავრესთან შედარებით. საწარმოო სიმძლავრეების მსხვილმასშტაბიანი ცვლილება ძირითადად

გრძელვადიანი სტრატეგიული ხასიათისაა და დაკავშირებულია დიდ მატერიალურ დანახარჯებთან. საწარმოო სიმძლავრეების დაგეგმვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის ეფექტიანობაზე. თუ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მცდარი იქნება, მათი აღმოჩენის შემთხვევაშიც კი ორგანიზაციას შესაძლოა აღარ დარჩეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები მათ გამოსასწორებლად.

საწარმოო სიმძლავრეების დაგეგმვამდე აუცილებელია კომპანიის მოღვაწეობის სფეროს და წარმოებული პროდუქციის მაქსიმალური მოცულობის განსაზღვრა. გადაწყვეტილება მოღვაწეობის სფეროს შესახებ ეფუძნება ფოკუსირების მიმართულების შერჩევას. ზოგადად კომპანია შესაძლოა ფოკუსირებული იყოს წარმოებაზე, აწყობაზე, დისტრიბუციაზე ან მომსახურების გაწევაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ესა თუ ის კომპანია რამდენიმე ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის სახეს ითავსებს, მაინც გამოიკვეთება ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც მოღვაწეობის ძირითადი სფერო ანუ ფოკუსი ეწოდება.

## **1.2 ხარისხის შექმნის პროცესი**

ხარისხის მართვის შექმნის პროცესი ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვანია. მისი მთავარი ღირებულება მიმართულია მომხმარებელთა მოთხოვნაზე, შემდეგ მის გათვალისწინებასა და სრულყოფილი ფორმით მიწოდებაზე.

თანამედროვე ეპოქაში ხარისხის განვითარება შეიძლება დაიყოს 4 ფაზად. დ. გარვინის (1988) ინსპექტირების, ხარისხის სტატისტიკური კონტროლის, ხარისხის უზრუნველყოფის და ხარისხის სტრატეგიული მენეჯმენტის შესაბამისად. თითოეულ ეპოქას აქვს საკუთარი თავისებურებები და ეს წინა ეპოქის განვითარებაა.

ცხრილში მოცემული იქნება მიმოხილვა თითოეული ევოლუციის ძირითადი მახასიათებლის შესახებ.

ხარისხის მოძრაობის ეტაპები				
სტატისტიკური მახასიათებლების იდენტიფიკაცია ხარისხის სტარატეგია	შემოწმება 1800–იანი წლები	სტატისტიკური ხარისხის კონტროლი 1930–იანი წლები	ხარისხის გარანტია 1950–იანი წლები	სტრატეგიული ხარისხის მენეჯმენტი 1980–იანი წლები
პრობლემის გადაწყვეტა	კონკურენცია	კონკურენციის მოგვარება	კოორდინაცია	სტრატეგიული სვლა
ხარისხის ხედვა	გადასაჭრელი პრობლემა	გადასაჭრელი პრობლემების მოგვარება	პრობლემა მოგვარებულია მაგრამ არსებობს პროაქტიული თავდასხმა	კონკურენტული შესაძლებლობა
აქცენტირება	პროდუქციის ერთგვაროვნება	პროდუქციის ერთგვაროვნება ისპექტირების შემცირებით	წარმოების მთელი ჯაჭვი, ყველა ფუნქციური ჯგუფის წვლილი ხარისხის გაუმართაობის თავიდან აცილების მიზნით	ორგანიზაციისა და მომხმარებლის საჭიროებები
მეთოდები	გაზომვა	სტატისტიკური ინსტრუმენტები და ტექნოლოგია	პროგრამა და სისტემა	სტრატეგიული დაგეგმარება, მიზნის დასახვა, და ორგანიზაციის მობილიზაცია

პროფესიონალური ხარისხის როლი	ინსპექცირება, დახარისხება, შეფასების გამოთვლა	პრობლემის მოგვარება და სტატისტიკური მეთოდოლოგიის შემუშავება	ხარისხის განსაზღვრა, დაგეგმარება და პროგრამის დიზაინი	განათლება და მომზადება, საკონსულტაციო მუშაობა სხვა დეპარტამენტებთან და პროგრამული უზრუნველყოფა
ხარისხზე პასუხისმგებლობა	შემოწმების სამსახური	წარმოებისა და საინჟინრო სამსახური	ყველა დეპარტამენტი , თუმცა მენეჯმენტი მხოლოდ პერიფერიულად მონაწილეობს ხარისხის პოლიტიკის შემუშავებაში, დაგეგმვა და განხორციელებაში	ორგანიზაციაში ყველას, ძლიერი ლიდერით
ორიენტაცია და მიდგომა	ხარისხის შემოწმება	ხარისხის კონტროლი	ხარისხის აგება	ხარისხის მართვა

### 1.3 მომხმარებელი მისი უფლებები და მოავალეობები

მართვის ახალი მოდელი იწყება მომხმარებლის ყურადღებით და სრულდება მომხმარებლის კმაყოფილებით. მომხმარებლის მოთხოვნილებაზეა ორიენტირებული ორგანიზაციის არსებობა. მომხმარებლის დაკმაყოფილების ან ცვლილებას გამოიწვევს იმაში, თუ როგორ მუშაობთ ეს კი თავის მხრივ გავლენას ახდენს თქვენს დამოკიდებულებას მომხმარებელზე.

მომხმარებლისადმი ყურადღება უნდა გამოვლინდეს პრაგმატულ ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებათან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობას, მის ჩართულობას, დაწესებულების შეთავაზებათა ეფექტიან პოზიციონირებასა და როგორც შედეგი - ამ პროცესთა ხარისხის მართვას.

ხარისხის სისტემის დანერგვაში პირველია საერთაშორისო ISO 9001 სტანდარტების დაკმაყოფილება. ხარისხის მართვის პროცესის შესადგენად აუცილებელია გამოვყოთ გარკვეული პროცესი თანმიმდევრობის მიხედვით:

1. ეტაპი – მომხმარებელი, განსაზღვრავს ხარისხის დონეს და საჭიროა მათი მოთხოვნების განსაზღვრა;

პირველ ეტაპზე აუცილებელია განვიხილოთ მომსახურების პროექტის ხარისხი, ყოველ მომსახურების და პრდუქციის წარმოების პროცესს გააჩნია საკუთარი პარამეტრების, ნორმატივების, ეროვნული სტანდატრების ნორმები, შეზღუდვების ნაკრები, რომელთა დაცვა პროცესის განმავლობაში არის სავალდებულო.

2. ეტაპი – მომხმარებელთა ხარისხზე მოთხოვნის დონე;

ფასდება რეალიზაციაში გასვლის პროცესი, რამდენად აკმაყოფილებს როგორც ტექნიკურ ასევე სათანადო დონეს

3. ეტაპი – პროცესზე ორიენტირება;

ფუნდამენტური ნაწილია პროცესის შექმნის, ორიენტირება არის იმ ნაბიჯი რომელიც განსაზღვრავს იმ პროცესს რომელიც დაკავშირებულია მიმწოდებელსა და მომხმარებლის შორის , როგორც შიდა ასევე გარე მონიტორინგის ჩატარება, რათა არ მოხდეს მოულოდნელი ცვლილება

4. ეტაპი – პროდუქციის ნიმუშზე ხარისხის დადგენილი მოთხოვნების განხორციელება;

ამ ეტაპს აქვს ფუნქციური მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის კმაყოფილების დონეს, უმაღლესი ხარისხის მისაღწევად აუცილებელია სანათანადოდ მოთხოვნების გათვალისწინება, მარკეტინგული სწორი დაგეგმარება და მსვლელობა მომხმარებლის კმაყოფილების მიღწეისთვის . სწორი მომსახურების ხარისხის მისაღწევად აუცილებელია სწრაფვა სრულყოფილებისკენ და დაკმაყოფილება რომელშიც მოიაზრება მიმწოდებლის: კომპეტენტურობა,

მიღწევადობა, საიმედოობა, ნდობა, უსაფრთხოება, დელიკატურობა მომხმარებელთან.

ორგანიზაციული ცვლილებების დროს, ისევე როგორც ყოველდღიური საქმიანობის პერიოდში, ეფექტური კომუნიკაციები დიდ როლს ასრულებს მორალის შენარჩუნებაში და თანამშრომლების მოტივაციაში ყველა დონეზე. კომუნიკაციები მოიცავს სტრატეგიას, მეთოდს და დროულობას.

5. ეტაპი – ინტეგრირებული სისტემა;

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია შეიძლება შედგებოდეს მრავალი სხვადასხვა ფუნქციური სპეციალობისგან, რომლებიც ხშირად არიან ორგანიზებულნი ვერტიკალურად სტრუქტურულ განყოფილებებში, ეს არის ჰორიზონტალური პროცესები, რომლებიც ამ ფუნქციებს ერთმანეთთან აკავშირებს.

მიკროპროცესები ემატება ყველა იმ ეტაპს, რომლებიც საჭიროა სტრატეგიის განსაზღვრისა და განსახორციელებლად. ყველას უნდა ესმოდეს ორგანიზაციის ხედვა, მისია და ხელმძღვანელობის პრინციპები, აგრეთვე ხარისხის პოლიტიკა, მიზნები და კრიტიკული პროცესები. ბიზნესის საქმიანობის მონიტორინგი და კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს მუდმივად.

ინტეგრირებული ბიზნეს სისტემა შეიძლება იყოს მოდელირებული Baldrige Award კრიტერიუმების შესაბამისად და / ან ითვალისწინებდეს ISO 9000 სტანდარტებს . ყველა ორგანიზაციას აქვს უნიკალური სამუშაო კულტურა და მისი პროდუქციისა და მომსახურების სრულყოფის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ კარგი ხარისხის კულტურა არ არის განვითარებული. ამრიგად, ინტეგრირებული სისტემა აკავშირებს ბიზნესის გაუმჯობესების ელემენტებს, ცდილობს მუდმივად გააუმჯობესოს და გადააჭარბოს მომხმარებელთა, თანამშრომლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

6. ეტაპი – ხარისხზე მოთხოვნების რეალიზაცია;

ხარისხის ძირითადი ასპექტების დაკმაყოფილების შემდეგ, რეალიზება დამოკიდებულია მომხმარებელთა კმაყოფილებაზე. რეალიზებისას აუცილებელი პირობაა არ დაირღვეს პროცესის ფუნქციური მახასიათებლები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის ფასეულობასა და აღქმადობას.

7. ეტაპი – სტრატეგიული და სისტემური მიდგომა;



სტრატეგიული და სისტემური მიდგომა: ხარისხის მართვის კრიტიკული ნაწილია სტრატეგიული და სისტემური მიდგომა ორგანიზაციის ხედვის, მისიისა და მიზნების მისაღწევად. ეს პროცესი, რომელსაც სტრატეგიული დაგეგმვა ან სტრატეგიული მენეჯმენტი ეწოდება, მოიცავს სტრატეგიული გეგმის ფორმულირებას, რომელიც აერთიანებს ხარისხს, როგორც ძირითად კომპონენტს.

8. ეტაპი – მომხარებელთა მოთხოვნების სრულყოფა და დაკმაყოფილება; მომხარებელთა მოთხოვნის სრულყოფა არის მთავარი კომპონენტი მიმწოდებლისთვის მისი მთავარი დანიშნულებაა მომხარებლის იმედების გამართლება. ორგანიზაციის მთავარი მიზანია იყოს ოპტიმიზებული და სათანადოდ ფუნქციური.

#### **1.4 ხარისხის მართვის პრინციპები**

ხარისხის მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვეობის მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. რაც უფრო მეტს ვსაუბრობთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასა და განვითარებულ ინსტიტუტებზე, აღნიშნული სფერო მით უფრო მეტად მიიწევს წინ. შესაბამისად, ხარისხის მართვა, მისი კონტროლი და მენეჯმენტთან დაკავშირებული რიგი ასპექტები, გარკვეული თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების კვლდაკვალ, თანამედროვე კონკურენტუნარიან და ინფორმაციულ საზოგადოებაში, საინტერესო ამოცანად გვევლინება. ადამიანთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ხარისხი არის აუცილებელი, მაგრამ შესრულება არის რთული. არსებობს მრავალი ინსტრუმენტი ხარისხის მართვის, ყველაზე მართებულია გზის გასაკვალად “QMS” (Quality Management System) ხარისხის მართვის სისტემების არსებობა და გამოყენება.

“QMS” (Quality Management System) არსებითად მოქმედებს ორგანიზაციაზე და აძლევს მიმართულებას ორგანიზაციის საქმიანობას. იმის მისაღწევად, რომ საქმიანობა იყოს ისეთი, რომლის მიღწევაც სურს ორგანიზაციას, ამისთვის საჭირო და აუცილებელია მართვის პრინციპების ცოდნა.

რა არის ხარისხის მართვის პრინციპები? როგორც თავად ხარისხი რთული განსაზღვრელია, მაგრამ არსებობს ამ განსაზღვრების ISO სტანდარტები, რომელიც უსაფრთხოა და საფუძველია ხარისხის პრინციპების დანერგვის.

ISO 9000:2015 და ISO 9001:2015 სტანდარტები ემყარება შვიდი ხარისხის მართვის პრინციპს. ISO-ს თანახმად, მართვის შვიდ პრინციპს აქვს განსაკუთრებული თანმიმდევრობა.

1. მომხმარებლის ყურადღება;
2. ლიდერობა;
3. ხალხის ჩართულობა;
4. პროცესის მიდგომა;
5. გაუმჯობესება;
6. მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება;
7. ურთიერთობების მართვა.

საკითხის მეტი სიცხადისთვის აუცილებლად მიგვაჩნია ფართოდ განვიხილოთ ხარისხის მართვის შვიდივე პრინციპი, რაც საჭიროა ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

### 1. მომხმარებელთა ფოკუსი

ორგანიზაცია უპრიველესად ორიენტირებულია მომხმარებელზე. მომხმარებელთა ყურადღება გამახვილებულია კრიტიკულად და ეს არ უნდა დაიკარგოს სისტემის პრიორიტეტებში და სხვადასხვა პროცესებში. აქცენტი უნდა გაკეთდეს ამჟამინდელ და მომავალ მომხმარებელზე. იმისათვის, რომ მუდმივად დაკმაყოფილდეს მომხმარებელთა მოლოდინი, ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ კმაყოფილების დონე. უნდა იყოს დაცული მომხმარებელთა უსაფრთხოება და ჩაერთოს ორგანიზაციის ყველა ფუნქციური განყოფილება.

### 2. ლიდერობა

ნებისმიერ ხარისხის იდეისას, მთავარი მხარდაჭერა მომდინარეობს ლიდერობით. კარგი ხელმძღვანელობის გარეშე ორგანიზაცია დაზარალდება. ლიდერებმა უნდა განსაზღვრონ ორგანიზაციის ხედვა და მიზნები.

### 3. თანამშრომელთა ჩართულობა

თანამშრომელი არის სამუშაო ძალა, რომელთა შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, ფასდება პერსონალის შრომა, მათი ჩართულობით უმჯობესდება ორგანიზაციის

განახლება და პროგრესირება. თანამშრომლები არიან პასუხისმგებელი თავიანთი საქმიანობისა და არიან ვალდებულები, იყვნენ აქტიურები და ჩართულნი სამუშაო პროცესში.

#### 4. პროცესის მიდგომა

ხარისხის მრავალი საკითხებიდან ერთ–ერთია პროცესის მიდგომა, რომელის ასახავს წარმატების მიღწევის ნაბიჯებს.

ეს ნიშნავს, რომ აქტივობების მართვა ხდება პროცესების გაზომვის და ქმედებათა შორის კავშირების დადგენისას. პროცესის მიდგომა არის გაუმჯობესების შესაძლებლობა, რომელიც დგას კულისებში და მოითხოვს პროცესებს ორგანიზაციის წარმატების უზრუნველსაყოფად.

#### 5. გაუმჯობესება

ძლიერის ხარისხის სისტემა ცვალებადია, ამიტომაც გაუმჯობესების გარეშე ორგანიზაცია ვერ იარსებებს .

ორგანიზაციის საქმიანობის არსებობა და შესაძლებლობები დამოკიდებულია მუდმივ განვითარებაზე , აუცილებელია პერსონალთა წახალისება და აქტივობა, რათა მივაღწიოთ გარკვეულ მიზანს. გაუმჯობესებისთვის წინასწარ იგეგმება გარკვეული ეტაპები, ანალიზი და ფორმალურად აღრიცხვა.

#### 6. მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება

მტკიცებულებები არის იმ მონაცემთა ბაზა, რომელსაც ორგანიზაციის თანამშრომლები ქმნიან. აუცილებელია მონაცემები იყოს ზუსტი, სანდო, პრაქტიკული და დაბალანსებული, რომლებიც არის საყრდენი ორგანიზაციის და მის შემდგომ ხდება მონაცემთა ანალიზი, რის საფუძველზეც ხელმძღვანელობა დებულობს გადაწყვეტილებას. მონაცემთა ერთობლიობა ქმნის ორგანიზაციის ისტორიას მისი გამოცდილების მიხედვით.

#### 7. ურთიერთობის მართვა

ხალხი ნებისმიერი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია და გადამწყვეტია მიმწოდებელსა და პარტნიორთა შორის ურთიერთობებისა. ღირებულებების მიხედვით უნდა შეირჩეს მომწოდებლები, პარტნიორებმა უნდა იცოდნენ გეგმები და ინფორმაცია რაც მათ დაეხმარებათ ურთიერთთანამშრომლობისათვის. პარტნიორებისათვის მთავარია ერთიანი მიზანი და გაუჯობესების ღონისძიებების გატარება ორივე მხარისთვის. პარტნიორთა წარმატების აღიარება ორივე მხარისთვის ძლიერი ურთიერთობის შენარჩუნების ხელშეწყობაა.

ეს შვიდი პრინციპი არის კარგი დასაწყისი ორგანიზაციის მართვის სისტემისთვის და კარგი გზამკვლევი ხარისხის გაუმჯობესების. ინისინი ქმნიან სისტემას, რათა დაადგინონ და შემდეგ მართონ მართვის პროცესი სწორად, შეაფასონ მომხმარებელ და შესაბამისი მარეგულირებელი ღონისძიებები გაატარონ რაც მომხმარებლის კმაყოფილების ამაღლებას გამოიწვევს.

## თავი II

### 2.1 ხარისხის მართვა

ხარისხის მართვა თანამედროვე ინტეგრირებული კონცეფციაა და მოიცავს ხარისხის საყოველთაო მართვას (Total Quality Management), რომელიც განიხილავს ხარისხს, როგორც ღონისძიებების და ოპერაციების შედეგს, ტექნოლოგიურ პროცესს და ეკონომიკურ-სოციალურ სფეროებს.

ხარისხის ინტერესის აფეთქებამ გამოიწვია ფართო განხილვა ხარისხის განსაზღვრების მნიშვნელობასა და ცვალებადობაზე. თანამედროვე სამყაროში ყოველი დღე უფრო მნიშვნელოვანი და სრულყოფილი ხდება, რადგან ინფორმაციის მიწოდება არის ხელმისაწვდომი, რაც სწრაფად და მარტივად ვრცელდება. ყველა ორგანიზაციის მთავარი ატრიბუტია გამოყენოს სწორად ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც საინფორმაციო ცოდნის წყარო, განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი და გამოცდილების ახალი პროცესები.

ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ ცოდნის საუკუნეში ცხოვრობთ და მუდმივად წინ მიიწევს ტექნოლოგიების განვითარება, რომელიც ერთ-ერთი მხარდამჭერია ცოდნის ამაღლებისა.

(Quality Management System) ხარისხის მართვის სისტემა განისაზღვრება როგორც ფორმალიზებული სისტემა, რომელიც დოკუმენტურად ადგენს პროცესებს, პროცედურებსა და პასუხისმგებლობას ხარისხის მართვის პოლიტიკისა და მიზნების მისაღწევად. QMS უწყობს ხელს ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაციას, წარმართვას მომხმარებელსა და მარეგულირებელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. QMS ორიენტირებულია ეფექტურობის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობის ყველა ასპექტზე და მოიცავს უპირატესობას, რომელიც დაკავშირებულია დოკუმენტირებული ხარისხის მართვაში.

## ხარისხის მართვის სისტემების უპირატესობები

- მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც განამტკიცებს ორგანიზაციისადმი ნდობას და განვითარებას;
- ორგანიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც უზრუნველყოფს წესების დაცვას, ეფექტიანობის გაზრდას, რაც გამოიხატება მომსახურების ხარისხიანი მიწოდებით;
- პროცესის განსაზღვრა, გაუმჯობესება და კონტროლი მართვის სისტემის ანალიზისა და ორგანიზაციისთვის საჭირო რესურსების მიწოდებაში. ხარისხის პოლიტიკა უნდა შეესატყვისებოდეს ორგანიზაციის მიზნებს, შეიცავდეს ვალდებულებებს მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მუდმივად წვლილი შეიტანოს მართვის სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებაში.

ორგანიზაციის საქმიანობის ორიენტაციის პრინციპი მომხმარებლის და მომხმარებელთა ინტერესებზე მდგომარეობს იმაში მდგომარეობს, რომ ტოპ მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის მოთხოვნების განსაზღვრა და განხორციელება მათი კმაყოფილების გაზრდის მიზნით.

ორგანიზაციაში ყველა წარმოების პროცესის დოკუმენტირების პრინციპი მოითხოვს დამტკიცებული ტექნოლოგიების, პროცედურების ან სამუშაო ინსტრუქციების არსებობას, რომლებიც განსაზღვრავს ყველა პროცესის შესრულების წესს, აგრეთვე მათი შედეგების ხარისხის კრიტერიუმებს. ეს ქმნის პირობებს დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელებისთვის, პროცესების ხარისხის შეფასებისა და მათი გაუმჯობესების მიზნით.

პერსონალის ორიენტაციის პრინციპი წარმოების პროცესების მუდმივ გაუმჯობესებაზე მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაციამ მუდმივად უნდა გააუმჯობესოს მართვის სისტემის ეფექტურობა აუდიტის შედეგების, მონაცემთა ანალიზის, მაკორექტირებელი და პრევენციული მოქმედებების შედეგების საფუძველზე. ამ პრინციპის განხორციელების მეთოდოლოგიური საფუძველია ანალიზი, რომელიც ეყრდნობა შეუსაბამობათა ფაქტებს (დადგენილი

მოთხოვნებიდან გადახრები), მათი მიზეზების იდენტიფიკაციას და შესაბამისი ზომების შემუშავებას.

მენეჯმენტმა უნდა წარმოადგინოს მისი ერთგულების დამტკიცება განვითარებისა და განხორციელების პროცესში.

ხარისხის მართვის სისტემის (QMS) და მისი ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესების გზით:

- ორგანიზაციისთვის მომხმარებელთან შეხვედრის მნიშვნელობისა და მარეგულირებელი საშუალებების მიწოდება;

(GMP) და სამართლებრივი მოთხოვნები, მათ შორის, გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ასპექტები;

- რისკის მენეჯმენტის გამოყენება;

- ხარისხის პოლიტიკის შემუშავება;

- ხარისხის მიზნების დადგენის უზრუნველყოფა;

- მენეჯმენტის მიმოხილვის ჩატარება;

- პროცესში და სისტემებში სათანადო პირობების შენარჩუნება ორგანიზაციაში;

- რესურსების, განსაკუთრებით საკმარისი სამუშაო ძალის, სათანადოდ გაწვრთნილი არსებობის უზრუნველყოფა.

## 2.2 ნამდვილი ლიდერის სახე

„ნამდვილ ლიდერებს შეუძლიათ სული შთაბერონ ადამიანების იმედებს და ოცნებებს;

დაარწმუნონ ისინი, რომ მომავალი მათ სარფიან შესაძლებლობებს სთავაზობს. ამავე

დროს ლიდერებს აქვთ უნარი, თავიანთი ოცნებებისკენ

სწრაფვაში ჩართონ სხვებიც. არწმუნებენ რა მათ, რომ ამ მიზნების

მიღწევას შეუძლია ყველა მათგანის კეთილდღეობა გაზარდოს“

ახლო წარსულში მიიჩნეოდა, რომ ადამიანები ორგანიზაციაში ითვლებოდნენ მიზნების მიღწევის საშუალებად, რესურსად. ორგანიზაცია კი მოიაზრებოდა

მანქანა-დანადგარების, მეთოდების, კაპიტალის, ტექნოლოგიების გაერთიანებად რაც წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებად მიიჩნეოდა.

თანამედროვე ორგანიზაციაში ადამიანის როლი შეიცვალა და ყველა სახის რესურსი ხელმისაწვდომი გახდა, როდესაც ნებისმიერ „ნოუჰაუს კალკირება“ აღარ წარმოადგენს სირთულეს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება ორგანიზაციების მოქნილობა, კონკურენტული უპირატესობები და ადამიანი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რესურსს ორგანიზაციისთვის.

იმისთვის, რომ შევძლოთ, ორგანიზაციები ვაქციოთ სამოქმედო ასპარეზად მათთვის ვინც მუშაობს და საჭიროა ვიცოდეთ მთავარი მოტივაცია რაც ამოქმედებს ადამიანებს.

1.ზრუნვა თანამშრომლებზე, ზრუნვა მომხმარებლებზე და მთლიანად საზოგადოებაზე

ეს არის ის აუცილებელი ნიშანი, რომელიც ლიდერს აძლევს საშუალებას იყოს თანაბრად თანამშრომლებთან. ზრუნვა, გულწრფელობა, ჭეშმარიტი დამოკიდებულება, რომელიც სიყვარულს ეფუძვნება არის მთავარი წყარო იდეების, თანამშრომლობის და ურთერთობის, რომელსაც ლიდერი გამოხატავს. რამდენადაც ძლიერია ზრუნვის შეგრძნება , იმდენად ინტენსიურია ლიდერის სწრაფვა სიახლეებისკენ.

2.რწმენა საკუთარ თავში და ადამიანებში

რწმენა იწვევს ნდობას, ლიდერთან ნდობით მუშაობა უფრო კომფორტული, სასიამოვნო და საიმედოა. ადამიანები ლიდერთან მუშაობისას უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ და უფრო მეტად ცდილობენ შესაძლებლობების გამოყენებას. რწმენა ლიდერში კიდევ უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის და ცხადი ხდება ,მიზანი რისკენაც მიისწრაფვის ლიდერი.

3.სიმშვიდე საუბარში და მოქმედებაში

ეს ნიშანი აუცილებელია ლიდერისთვის, რომელიც ზრდის მიღებული გადაწყვეტილების ხარისხს, თანამშრომლების ნდობას. სიმშვიდე და ადვილად



გადამდებია, როდესაც ლიდერში იგრძნობა სიმშვიდე ყველა უფრო მეტი ენერჯით, ნდობით მუშაობს და იქმნება დადებითი გარემო. ამ სამი თვისების ერთიანობა უზრუნველყოფს ლიდერის გარშემო სასურველი გარემოს შექმნას და აქციოს ორგანიზაცია აპარეზად ადამიანებისთვის, რომ აკეთონ ის, რაც კარგად გამოსდით.

### 2.3 რისკ-მენეჯმენტი

ყველა დროსა და ეპოქაში ადამიანის საქმიანობას გარკვეული რისკი ახლდა თან. რისკის არსებობა ორ კატეგორიათ იყოფა: 1) ადამიანთა არასწორი გადაწყვეტილებების შედეგი; 2) ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებული.

XX საუკუნე ითვლება რისკების მართვის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების გააქტიურების პერიოდად, რადგან სწორედ ამ საუკუნეში მოხდა ის დიდი სამრეწველო კატასტროფები, რომლებმაც სტიმული მისცეს რისკმენეჯმენტის განვითარებას.

–1944 წელს კლივლენდში აფეთქდა (აშშ) გაზსაცავი;

–1977 წელს დიდ ბრიტანეთში (ქ. ფლისბორმი) პოლიეთილენის ქარხანა აფეთქდა;

–1984 წელს ინდოეთში (ქ. ბხოპალა) აფეთქდა პესტიციდების ქარხანა, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა;

–1988 წელს ჩრდილოეთის ზღვაში მოხდა ჭაბურღილ „პაოპერ ალფას“ და მისი პლატფორმის აფეთქება.

ამ მდგომარეობამ, აიძულა ქვეყნები, ეზრუნათ რისკების მართვის სპეციალისტების მომზადებისთვის და შეექმნათ სპეციალური სასწავლო მეთოდოლოგიური ლიტერატურა. ამ საკითხში სანიმუშოდ მოვიყვან ჰარვარდის, სტენფორდის და კალიფორნიის უნივერსიტეტის გამოცდილებას. ჩამოთვლილ უნივერსიტეტებში სპეციალისტების მომზადება 3 მიმართულებით ხდება:

1. სპეციალისტების მომზადება რისკის კვლევის საკითხებში– მათ ასწავლიან საფრთხეების იდენტიფიცირებას, კონკრეტული რისკების შეფასებას, შედეგების ანალიზს, საშიში სიტუაციების განვითარების მოდელირებას და

შემდგომ ისინი შეიმუშავენ ეფექტიანი მართვის რეკომენდაციებს. ამ სპეციალისტებს რისკმენეჯერებს უწოდებენ.

2. სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ რისკის ანალიზის შედეგების გაგება და თავის საქმიანობაში გამოყენება– ჩვეულებრივ, ასეთი სპეციალისტები არიან ფირმების გენერალური დირექტორები, ფუნქციონალური მენეჯერები, და ის თანამშრომლები რომლებსაც უშუალოდ გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ და არიან პასუხისმგებელი. აუცილებელია პირი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ერკვეოდეს რისკების მართვის საკითხებში.
3. სახელმწიფოებრივი და რეგიონული დონის ხელმძღვანელი კადრების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ გადაწყვეტილების მიღებაში როსლოს ანალიზის შედეგის გათვალისწინება, ექნებათ უნარი, რომ შეამჩნიონ რისი გათვალისწინება არ მოხდა ანალიზის დროს რა ნაკლი აქვს რისკის ანალიზს და როგორ შეიძლება გამოსწორება. რისკმენეჯერი არის სპეციალისტი, რომელიც შეისწავლის რისკებს, აჯგუფებს მას ხარისხის საშიშროების მიხედვით, ადგენს მათი დადგომის ალბათობას, ზარალის დადგომის ალბათობის განსაზღვრას და შემუშავებს და იძლევა რეკომენდაციების თავიდან აცილების მიზნით.

### **მომხმარებელზე ფოკუსირება**

მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის (გარე ან შიდა) მოთხოვნილებების და მოთხოვნების დაცვა. ნათლად არის გაგებული ისე, რომ შესრულების შემდეგ ისინი მომხმარებელთა კმაყოფილებას გამოიწვევს. შესაბამისად, ეს ითხოვს მჭიდრო კომუნიკაციას მომხმარებელთან მთელი თანამშრომლობის განმავლობაში. მათ შორის, მინიმუმ, შეტყობინების გაგზავნა მომხმარებლისთვის.

### **ხარისხის პოლიტიკა**

ხარისხის პოლიტიკა არის მართვის ერთ–ერთი მთავარი დანიშნულება, უზრუნველყოს მკაფიო ვალდებულების შესრულება (მარეგულირებელი და GMP) მოთხოვნების და ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესება. ეს უნდა აიხსნას ხარისხის პოლიტიკაში. გარდა ამისა, კრიტერიუმები,

რომლებიც მოქმედებს ეფექტურობაზე. სისტემის იდენტიფიცირება და შეფასება უნდა მოხდეს. ხარისხის მიზნები უნდა ეფუძნებოდეს ხარისხის პოლიტიკას, რომელიც მჭიდროდაა შერწყმული კომპანიასთან. ხარისხის პოლიტიკის შესრულებისთვის ორგანიზაციას განსაზღვრული უნდა ჰქონდეს მიზნები და სტრატეგიული მიმართულებები. მიზნების და სტრატეგიის სწორად განსახორციელებლად ორგანიზაცია იყენებს დანერგილ ხარისხის მართვის სისტემას, რომელიც საუკეთესო მხარდამჭერია მართვის პროცესების ეფექტურობის.

**სტრატეგიული მენეჯმენტი** (strategic management) - ეს ტერმინი არის მმართველობითი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციის ფუნქციონირების გრძელვადიან მაჩვენებელს. სტრატეგიული მენეჯმენტი მოიცავს : გარეგან და შინაგან სკანირებას; სტრატეგიის ფორმულირებას; სტრატეგიის რეალიზაციას; შეფასებებსა და კონტროლს. სტრატეგიული მენეჯმენტი გულისხმობს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, გარემო საფრთხეების შესაძლებლობების შეფასებასა და მონიტორინგს, რათა შემდგომში მიღებული შედეგების საფუძველზე, ორგანიზაციას მისცეს სწორი სტრატეგიული მიმართულება. ორგანიზაციაში სტრატეგიულ განვითარების 4 თანმიმდევრული ეტაპი არსებობს;

ეტაპი 1: საბაზისო ფინანსური დაგეგმარება – სრული ოპარტიული კონტროლის გამოყენების მიზნით

ეტაპი 2: დაგეგმარება პროგნოზირების საფუძველზე – ეს არის ეფექტიანი დაგეგმარების გზა ეკონომიური ზრდის მისაღწევად.

ეტაპი 3: სტრატეგიული დაგეგმარება – ასახავს მომსახურებისდამი უფრო პასუხისმგებლურ მიდგომას. და სტრატეგიული აზროვნების წყალობით კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ეტაპი 4: სტრატეგიული მენეჯმენტი – ეს არის სტრატეგიის დამუშავების პროცესი, უპირატებისკენ მიღწევის ცდა და მისი რეალიზაცია კონტორილის საკითხების გათვალისწინებით.

**ოპერატიული დაგეგმვა** – ეს უნდა შეიცავდეს განცხადებას, რომელიც ეხება გარემოს დაცვას, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ვალდებულებას. უნდა განხორციელდეს ზომები, რათა უზრუნველყოს ხარისხის პოლიტიკის ძირითადი დებულებების ნაწილი და ყოველდღიური ბიზნესი. ამიტომ, ხარისხის პოლიტიკის შესახებ საჭიროა კომუნიკაცია და გაგება ორგანიზაციის დონეზე. ხარისხი არის პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობა.

იმისათვის, რომ გაუმკლავდეთ ორგანიზაციაში და მის გარშემო მომხდარ გარდაუვალ ცვლილებებს, ხარისხის პოლიტიკა უნდა იყოს მყარი.

ხარისხის მართვის სისტემა - GMP (ICH Q7a) ინტეგრირება ISO- ში (9001: 2000)

### **ხარისხის მიზნები**

უმაღლესი მენეჯმენტი უნდა დარწმუნდეს, რომ ხარისხის მიზნები ცნობილია და ფართოდ გამოიყენება ყველა დონეზე ორგანიზაციის ფარგლებში. ამით თანამშრომლები გაიცნობენ და ჩაერთვებიან შეთანხმებული მიზნების მიღწევას. ხარისხის მიზნები უნდა იყოს გაზომვადი და შესაბამისი

ხარისხის მიზნების დასადგენად გამოყენებული უნდა იქნეს "SMART" კრიტერიუმები (S = სპეციფიკური, M = გაზომვადი, A = მისაღწევი, R = შესაბამისი, T = დროში ჩასმული).

### **ხარისხის მართვის სისტემის დაგეგმვა**

ხელმძღვანელმა მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ QMS- ის დაგეგმვა განხორციელდეს, რათა დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, როგორც ეს განსაზღვრულია (ISO) - ში, ასევე ხარისხის მიზნები. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ შენარჩუნებულია ხარისხის მართვის სისტემის მთლიანობა. სისტემის გაუმჯობესებაში ცვლილებები არ უნდა მოხდეს, რადგან ხელს უშლის QMS- ის ეფექტურობასა და ეფექტურობას.

დაგეგმვა შეიძლება განპირობებული იყოს მაგ. სტრატეგიები და ორგანიზაციული მიზნები, მომხმარებლის საჭიროებების მიხედვით, მარეგულირებელი მოთხოვნები, API- ს მიზნობრივი გამოყენებით ან რისკის მენეჯმენტით. ამან შეიძლება წარმოშვას,

მაგალითად. უნარებისა და ცოდნის მოთხოვნები, ამოცანების პასუხისმგებლობის, რესურსების განაწილება (ფინანსური და ინფრასტრუქტურა), შესრულების მაჩვენებლები, გაუთვალისწინებელი გეგმები.

### **პასუხისმგებლობა, უფლებამოსილება და კომუნიკაცია**

პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს პასუხისმგებლობისა და კომპეტენციების განსაზღვრა ყველა პროფილს და ეცნობოდეს ორგანიზაციის ყველა დონეს. უნდა არსებობდეს ხარისხის განყოფილება (QU) წარმოებისგან დამოუკიდებელი და ეს აკმაყოფილებს როგორც ხარისხის უზრუნველყოფას (QA), ასევე ხარისხის კონტროლს (QC) პასუხისმგებლობა.

### **მენეჯმენტის წარმომადგენელი**

მაღალმა მენეჯმენტმა უნდა დანიშნოს მენეჯმენტის წევრი, რომელიც, სხვა პასუხისმგებლობის მიუხედავად, პასუხისმგებელია და უფლებამოსილია:

- დარწმუნდეთ, რომ განხორციელებული და შენარჩუნებულია ხარისხის მართვის სისტემისთვის საჭირო პროცესები.
- უმაღლესი მენეჯმენტისთვის ანგარიშის წარდგენა ხარისხის მართვის სისტემის მუშაობის შესახებ და ნებისმიერი სხვა გაუმჯობესების საჭიროება.
- უზრუნველყოს მომხმარებელთა მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება ორგანიზაციის მასშტაბით.

მენეჯმენტის წარმომადგენლის პასუხისმგებლობა შეიძლება შეიცავდეს გარე მხარეებთან ურთიერთობას ხარისხის მართვის სისტემის საკითხების შესახებ.

### **შიდა კომუნიკაცია**

ზედა მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს საკომუნიკაციო პროცესების დამყარება ორგანიზაციათა. კომუნიკაცია ხელს უწყობს მართვის სისტემის ხარისხიანობის ეფექტურობას. ეს უნდა მოიცავდეს GMP და მარეგულირებელი მოთხოვნების კომუნიკაციას ორგანიზაციის თითოეული დონის შესაბამისად.

ხარისხის საკითხები უნდა განიხილებოდეს როგორც სტანდარტული თემა ყველა შესაბამისი შეხვედრის დღის წესრიგში . უნდა არსებობდეს პროცედურები პასუხისმგებელი მენეჯმენტისთვის დროულად შეტყობინების შესახებ, რაც კრიტიკული შეტყობინებაა და მნიშვნელოვანია.

### **მენეჯმენტის მიმოხილვა**

ზოგადი

ხელმძღვანელობამ უნდა განიხილოს ორგანიზაციის ხარისხის მართვის სისტემა წინასწარ განსაზღვრული ინტერვალებით, უზრუნველყოს მისი მუდმივი შესაბამისობა, ადეკვატურობა და ეფექტურობა. ეს მიმოხილვა უნდა მოიცავდეს შეფასებას, გაუმჯობესების შესაძლებლობას და ცვლილებებს საჭიროებისამებრ QMS-ს, ხარისხის პოლიტიკის ჩათვლით. განხილვა ასევე უნდა მოიცავდეს გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ასპექტებს.

### **მიმოხილვა**

ზედა მენეჯმენტის მიმოხილვაში შედის არსებული მონაცემების კონსოლიდაცია, როგორც მათი საფუძველი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

- აუდიტორული დაკვირვებები / შედეგები (შიდა და გარე აუდიტი, აგრეთვე ხელისუფლების მიერ შემოწმება);
- მიმწოდებლის კვალიფიკაცია;
- პროდუქტის შესაბამისობა (პროდუქტის ხარისხის მიმოხილვა);
- მომხმარებელთა კავშირი;
- პროცესის შესრულება, მაგ. შესრულების ძირითადი მაჩვენებლები;
- მაკორექტირებელი და პროფილაქტიკური მოქმედებების სტატუსი;
- მენეჯმენტის წინა მიმოხილვების შემდგომი ქმედებები;
- ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ხარისხის მართვის სისტემაზე;

- რეკომენდაციები გაუმჯობესების მიზნით.

## გადახედე შედეგს

მენეჯმენტის განხილვის შედეგები უნდა შეიცავდეს ნებისმიერ გადაწყვეტილებას და ქმედებას, რომლებიც ეხება:

- QMS და მისი პროცესების ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესება;
- მომხმარებლის მოთხოვნებთან დაკავშირებული პროდუქტის მუდმივი გაუმჯობესება;
- საჭირო რესურსები (დროსთან, ფულთან და სამუშაო ძალასთან მიმართებაში).

## აუდიტი

შიდა ხარისხის აუდიტი, რომელიც მოიცავს ISO და GMP მოთხოვნებს, უზრუნველყოფს რეგულარულ და სისტემურ გზას ობიექტური მტკიცებულების მოპოვების შესახებ, თუ როგორ მუშაობს QMS. ისინი ეფექტური საშუალებაა აქტივობების ხაზგასმისთვის, რომლებიც მოითხოვს ყურადღებას და, შესაბამისად, მუდმივი გაუმჯობესების საშუალებაა. ამ მიდგომას უნდა მივაღწიოთ დაგეგმვის დოკუმენტირებული პროცედურების გამოყენებით, ხარისხის შიდა აუდიტის განხორციელება და შემდგომი კონტროლი დოკუმენტირებულ QMS–ს შესაბამისობის შესამოწმებლად გამოიყენება, ხარისხის სახელმძღვანელო პრეტენზიები და GMP და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნები. მას შემდეგ, რაც ბევრი GMP ხარვეზები არის QMS–ის ნაწილის სისუსტე, ან ვერ ხერხდება ეფექტური შიდა ხარისხი აუდიტის სისტემა შორს წავა მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად და ხელს შეუწყობს მუდმივ მუშაობას და შემოწმებითვის მზადყოფნას.

## თავი III

### სტანდარტები და სერტიფიცირება 3.1 სტანდარტები და სერტიფიცირება

ხარისხის მართვა კომპანიის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც ემყარება საწარმოს სპეციფიკას და მიზნებს. ISO 9000 გვთავაზობს ასეთი სისტემის მეთოდებს, რომლის ოფიციალური სერტიფიცირება შესაძლებელია სხვადასხვა საფეხურების გავლის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ სერტიფიცირების სისტემა წარმოადგენს რთულ პროცესს, რომელიც მოითხოვს მრავალ მნიშვნელოვან მოთხოვნას და მათი ხარისხის შესაბამისობას. ამ მოთხოვნების შესრულება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და შრომატევადი. კომპანია/ორგანიზაციის მენეჯერებს მკაფიოდ უნდა ჰქონდეთ გათვინობიერებული რისთვის სჭირდებათ სერტიფიცირება. საქართველოში შეინიშნება კონკურენცია, რის გამოც ორგანიზაციისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ხარისხზე ზრუნვა და ორგანიზაციის უწყვეტი სრულყოფაში მოყვანა. ნებისმიერ ორგანიზაციას, მისი საქმიანობის და სფეროს მიუხედავად შეუძლია განახორციელოს ინვესტიცია და მომავალში დანერგოს კარგი ხარისხის მენეჯმენტი.

ხარისხის მართვის სისტემაში აუცილებელია რეგულაციები, რაც მიიღწევა საერთაშორისო დონეზე სტანდარტების შემუშავებით. **სტანდარტები წარმოადგენს ხარისხის გარკვეული ნორმების, მახასიათებლების, წესების ერთობლიობას.** სტანდარტიზაციის ძირითადი დანიშნულებაა ხარისხის მართვის სისტემის ნორმალტიულ-ტექნიკური დოკუმენტების შექმნა და მათ სწორად გამოყენებაზე კონტროლის დაწესება.

მყიდველებს/მომხმარებლებს შეძენისას ხშირად სურთ გაიგონ თუ რამდენად შეესაბამება პროდუქცია ხარისხს, მოთხოვნებს და რა სტანდარტებითაა გათვალისწინებული, ამის დადასტურებას კი იძლევა სერტიფიკაცია. **სერტიფიკაცია ადასტურებს, რომ პროდუქცია გამოცდილია, შემოწმებულია და ობიექტურად შეესაბამება კონკრეტულ სტანდარტს ან სხვა ნორმალტიულ დოკუმენტს.**

სერტიფიკაცია წარმოადგენს საიმედო ინფორმაციას პროდუქციის ვარგისიანობის შესახებ, ამავდროულად წარმოადგენს ხარისხის ამაღლების ეფექტურ საშუალებას.



სერთიფიცირებულ ნაკეთობას უკეთებენ სპეციალურ ნიშანს/ეტიკეტს და ენიჭება სერთიფიკატი. სერთიფიკაციის ობიექტი არის კონკრეტული პროდუქცია, წარმოების მდგომარეობას, ხარისხის მართვის სისტემა. სერთიფიცირებაზე მუშაობს საექსპერტო ორგანიზაცია, რომელიც ახდენს პროდუქციის იდენტიფიცირებას. იდენტიფიცირება არის პროცედურა, რომლის შედეგად დგინდება წარმოდგენილი პროდუქციის შესაბამისობა იმ მოთხოვნებთან, რომელიც მოცემული სახის პროდუქციას წაყენება ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაციის სახით.

განასხვავებენ სერტიფიცირების სამ ფორმას:

- ერთმხრივი სერტიფიცირება – როდესაც თვითონ კომპანია ამოწმებს შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან;
- მეორე მხრივ სერტიფიცირება – როდესაც კომპანიის შემკვეთი ახდენს მომწოდებლის შემოწმებას;
- მესამე მხრივ სერტიფიცირება– ამ შემთხვევაში აუდიტის წარმომადგენელი სტანდარტიზაციის და სერთიფიკაციის კლვალიფიციური ეროვნული ან საერთაშორისო სააგენტო. მაგალითად, თუ ფირმამ გაიარა აღნიშნული სერთიფიკაცია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში ISO, მას დაარეგისტრირებენ, როგორც კომპანიას, რომელსაც აქვს ISO სტანდარტები და მიანიჭებენ სერთიფიცირებული კომპანიის სტატუსს. ISO სერთიფიკაცია კომპანიებს აძლევს იურიდიულ უპირატესობას ევროკავშირში.

თავდაპირველად, აშშ–ის თავდაცვის დეპარტამენტმა ჩამოაყალიბა სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავდა მოთხოვნებს „ხარისხის უზრუნველყოფის“ მიმართ. 1959 წელს – გამოაქვეყნეს MIL-Q-9858 სტანდარტი, რომელიც 1969 განახლდა, როგორც NATO- ს AQAP სერიის სტანდარტები. 1974 წელს გამოქვეყნდა BS 5179 სერიის სტანდარტები.

1979 წელს დიდი ბრიტანეთის ინსტიტუტმა (BSI) გამოსცა სტანდარტი „ხარისხის სისტემები. სპეციფიკაციები დაპროექტების, წარმოების და ინსტალაციისთვის“ ეს სტანდარტი ორიენტირებული იყო წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენდა პირველ სტანდარტს, რომელთან მიმართებით მოხდა სერთიფიცირება მე–3 მხრიდან.

1987 წელს BS 5750:-1:1979 სტანდარტმა განიცადა ევოლუცია და შემოღებული იქნა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, როგორც ISO 9000 საერთაშორისო სტანდარტი და მისი გამოყენების სფერო გაფართოვდა და ჩამოყალიბდა როგორც – “ ISO 9000:1987 სფეციფიკაციები შემუშავების, წარმოების, ინსტალაციის და მომსახურებისთვის“. ეს სტანდარტი შეიქმნა ორგანიზაციების ფართო სფექტრით გამოსაყენებლად და მოიცავდა სამ ნაწილს:

- ISO 9001:1987 Model for quality assurance in design, development, production, installation, and servicing - განკუთვნილი იმ ორგანიზაციებისთვის, რომელთა საქმიანობაც მოიცავდა ახალი პროდუქტების შექმნას.
